



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



შინაბანი და გარეგანი პარაზიტები



რას ნიშნავს პარაზიტი?



პარაზიტი არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მეორე ცოცხალი ორგანიზმის (მასპინძლის) ხარჯზე სახლდება, ცხოვრობს და მრავლდება. პარაზიტები ბუდობენ როგორც ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში, ასევე

მცენარეებზეც. ხშირია პარაზიტების გადასვლა ადამიანში ცხოველთან ახლო კონტაქტის დროს. გამოყოფენ ცხოველთა შინაგან და გარეგან პარაზიტებს. შინაგან პარაზიტებში შედის ჭიები (ჰელმინთები) და უმარტივესები (მაგალითად სისხლის პარაზიტები). გარეგანი პარაზიტები კი ხშირად ხილვადი ტკიპების, ტილების, მწერების და ბუზების სახით გვხვდება.

რას იწვევს პარაზიტი?

ჭიები ძირითადად კუჭ-ნაწლავის ტრაქტში გვხვდებიან და იკვებებიან იმავე საკვებით რაც ცხოველის გამოსაკვებადაა გამოყოფილი. უარყოფითი ეფექტი კი შემდეგია:

- ჭიები ცხოველის ორგანიზმში გამოყოფენ შხამებს (ტოქსინებს), ხშირია დიარია და ზოგადი მონამვლები;
- ცხოველის ორგანიზმში დამატებით ენერგიას ხარჯავს ჭიებთან და მათ შხამებთან ბრძოლაში;
- ისინი სასარგებლო ნივთიერებით იკვებებიან და ასუსტებენ ორგანიზმს;
- ჭიების ფონზე შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა სახის ალერგიული რეაქცია;
- მოზარდ ცხოველში იწვევენ ზრდის და ფიზიკური განვითარების შეფერხებას;
- ქვეითდება ზრდასრული ცხოველის პროდუქტიულობის პოტენციალი;

- გავლენას ახდენენ სხვა სამკურნალო საშუალების ეფექტურობაზე. ვეტერინარულ წრეებში თვლიან, რომ ვაქცინაციის დასაწყისამდე ცხოველის დეჰელმინთიზაცია (მკურნალობა ჭიების წინააღმდეგ) აუცილებელია.

უმარტივესები ძირითადად სხვა პარაზიტის საშუალებით ხვდებიან ორგანიზმში. უმარტივესებით გავრცელებულ დაავადებათა შორის გვხვდება ციება (პიროპლაზმოზი). ამ დროს ცხოველს აღენიშნება:


- ტემპერატურის მომატება, ცხელება;
- ლორწოვანი გარსების სიყვითლე (სიყვითლე განსაკუთრებით თვალის თეთრ გარსზე და პირის ღრუში შეიმჩნევა);
- მუქი შარდი.
- კანკალი;




დაავადების საწყის სტადიაზე დაწყებული მკურნალობა გამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დაგვიანების შემთხვევაში კი შეიძლება ლეტალური შედეგი დადგეს (ცხოველის დაცემა, სიკვდილი).

ტკიპები, ტილები და მწერები- ისინი გარეგანი პარაზიტის ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ გარდა კანის საფარველის დაზიანებისა ისინი შინაგანი პარაზიტის გადამტანებათაც გვევლინებიან.


- პარაზიტები სეზონური აქტიურობით გამოირჩევიან. წლის თბილ პერიოდში ხდება ცხოველზე თავდასხმა. ამ დროს კი ცხოველი პროდუქტიულობის ოპტიმალურ ზღვარს აღწევს;
- ცხოველი მოუსვენარი და გაღიზიანებულია;
- კბენის ადგილზე შეიძლება განვითარდეს ალერგიული რეაქცია, ანთებითი პროცესი და სხვა.



დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ

 ვეტერინარ- _____

მისამართი: _____ ტელ.: _____



**მომზადებულია იმერეთის ვეტერინართა
რეგიონული ასოციაციის მიერ**

ბროშურა დაიბეჭდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში
„საქართველოში აგრობიზნესის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური
პროფესიული განათლების განვითარება“